

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტროს
სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

ანგარიში 2021



სარჩევი

მიმოხილვა	1
საზღვაო უსაფრთხოება	2
გემების მოძრაობა საქართველოს ნავსადგურებში:	2
ნავსადგურების სახელმწიფო კონტროლი	4
მეზღვაურთა განათლება და სერტიფიცირება	6
მეზღვაურთა სერტიფიცირება	7
მეზღვაურთა განათლების სისტემის დახვეწა	8
ზღვაზე ძებნა-გადარჩენა და გემების მოძრაობის მონიტორინგი.....	12
გემების რეგისტრაცია და დროშის კონტროლი	15
საზღვაო სფეროს განვითარება საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით/ინოვაციური პროექტების განხორციელება	26
საკანონმდებლო საქმიანობა	30
ადმინისტრაციული უზრუნველყოფა	32
ISO 9001:2015/ISO 27001/შრომის უსაფრთხოება	33
ზოგადი სტატისტიკა	34

გრაფიკები

გრაფიკი 1: გემის ტიპები და რაოდენობა	2
გრაფიკი 2: საქართველოს ნავსადგურებში გემების მოძრაობა 2014-2021 წლებში	3
გრაფიკი 3: საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემების გროს ტონაჟი (2021წელი).....	3
გრაფიკი 4: საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტის ნავსადგურის ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურის შემოწმებები	4
გრაფიკი 5: მეზღვაურთა სერტიფიცირების სამმართველოს მიერ 2021 წლის განმავლობაში გაცემული მოწმობების სტატისტიკა	7
გრაფიკი 6: 2021 წელს 100 რეგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეგისტრაცია (სულ 113)	16
გრაფიკი 7: 100 რეგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეესტრი (სულ 1,525)	17
გრაფიკი 8: 2021 წელს 100 რეგ. ტონაზე მეტი შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეგისტრაცია (სულ 33)	17
გრაფიკი 9: 100 რეგ. ტონაზე მეტი შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეესტრი (სულ 67).....	18
გრაფიკი 10: საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალებების რეგისტრაცია (სულ 5)	18
გრაფიკი 11: საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალებების რეესტრი (სულ 30)	19
გრაფიკი 12: 100 რეგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეგისტრაცია (2020-2021 წლები).....	19
გრაფიკი 13: 100 რეგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეესტრი (2021-2020 წლები)	20
გრაფიკი 14: 100 რეგ. ტონაზე მეტი შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეგისტრაცია (2021-2020 წლები).....	20
გრაფიკი 15: 100 რეგ. ტონაზე მეტი შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეესტრი (2021-2020 წლები)	21
გრაფიკი 16: საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალებების რეგისტრაცია (2021-2020 წლები).....	21
გრაფიკი 17: საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალებების რეესტრი (2021-2020 წლები)	22
გრაფიკი 18: ბათუმის, ფოთის, ყულევისა და სუფსის ნავსადგურებში გადამუშავებული ტვირთების რაოდენობა	34
გრაფიკი 19: ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებში გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობა	35
გრაფიკი 20: ბათუმის, ფოთის, ყულევისა და სუფსის ნავსადგურებში შემოსული ძირითადი გემის ტიპები	35
გრაფიკი 21: საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემების გროს ტონაჟი	36

მიმოხილვა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, 2021 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შემაჯამებელ, რიგით მე-9 წლიურ ანგარიშს.

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო საზღვაო ინდუსტრიის ერთადერთი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოა, რომლის საქმიანობის სფერო მოიცავს:

- საქართველოს დროშის ქვეშ გემების რეგისტრაციას;
- დარეგისტრირებული გემების უსაფრთხოებისა და უშიშროების სტანდარტების უზრუნველყოფას;
- საქართველოს ნავსადგურებისა და შემოსული გემების ზედამხედველობას;
- საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მოძრავი გემების მონიტორინგს;
- ზღვის გარემოს დაბინძურების პრევენციას, ნავთობის დაღვრის შემთხვევაში დროულ ლიკვიდირებას;
- ზღვაზე საავარიო ინციდენტის დადგომის შემთხვევაში ძებნა-გადარჩენის ოპერაციების წარმოებას;
- მეზღვაურთა სერტიფიცირებას და მათი განათლების სისტემის ზედამხედველობას;
- სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას და საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის პოზიციონირებას;
- საზღვაო კანონმდებლობის საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას;
- საზღვაო ინდუსტრიაში ინოვაციური მიდგომებისა და პროექტების ინიცირებას

საზღვაო უსაფრთხოება

საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტი ახორციელებს საქართველოს ნავსადგურებში (ბათუმი, ფოთი, სუფსა, ყულევი) გემების შესვლა-გასვლაზე ზედამხედველობას, კონტროლს უწევს ნავსადგურების უშიშროებასთან დაკავშირებული საერთაშორისო მოთხოვნების შესრულებას და მონაწილეობს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის წესების შემუშავებაში. ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურები ფუნქციონირებს ბათუმის, ფოთისა და ყულევის ნავსადგურებში. ფოთის ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახური ასევე ფარავს სუფსის ნავთობტერმინალსაც.


გემების მოძრაობა საქართველოს ნავსადგურებში:

2021 წლის განმავლობაში, საქართველოს ნავსადგურებში შემოსული იყო 1,583 გემი. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი:


გრაფიკი 1: გემის ტიპები და რაოდენობა

გემის ტიპი	რაოდენობა
Gen. Cargo	446
Tanker	501
Container	266
Ro-Ro	158
Bulk Cargo	120
Vehicle Carrier	22
Livestock	28
Dredger	2
Tug Boat	5
Fish Carrier	1
Yacht	3
LPG	31
	1,583

გრაფიკი 2: საქართველოს ნავსადგურებში გემების მოძრაობა 2014-2021 წლებში




გრაფიკი 3: საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემების გროს ტონაჟი (2021წელი)



ნავსადგურების სახელმწიფო კონტროლი

2021 წლის განმავლობაში სააგენტოს საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტის ნავსადგურის ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურებმა შემოწმეს საქართველოს ნავსადგურებში (ბათუმი, ფოთი, ყულევი) შემოსული 348 გემი, საანგარიშო პერიოდში მოხდა 7 გემის დაკავება, კერძოდ, ბათუმის ნავსადგურში 3 გემის, ფოთის ნავსადგურში - 4 გემის. აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ დიაგრამა #3.

გრაფიკი 4: საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტის ნავსადგურის ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურის მიერ ჩატარებული ინსპექტირებები



საქართველოს ნავსადგურების უსაფრთხოებისა და უშიშროების უზრუნველყოფა

- ყოველწლიური შემოწმებები ჩატარდა ბათუმის, ფოთისა და ყულევის ნავსადგურების სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურებში;
- შემოწმდა ბათუმის, ფოთისა და ყულევის ნავსადგურების სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურების ოფიცრების საქმიანობა;
- წლიური კომპლექსური შემოწმებები ჩატარდა ბათუმის, ფოთისა და ყულევის ნავსადგურებში, ასევე ბათუმის „ტერმინალ1-ში“;
- ყოველწლიური შემოწმებები ჩატარდა ბათუმის, ფოთისა და ყულევის სალოცმანო სამსახურებში;
- შემოწმდა ბათუმის, ფოთისა და ყულევის ნავსადგურების, ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის, სუფსის ნავთობტერმინალის და ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის უშიშროების გეგმები;

ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია ქართულ ნავსადგურებში უსაფრთხოებისა და უშიშროების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის თვალსაზრისით. 2014 წლიდან ვმონაწილეობთ აშშ-ს სანაპირო დაცვის „პორტების საერთაშორისო უსაფრთხოების პროგრამაში“, რომლის ფარგლებშიც, ყოველ ორ წელიწადში მოწმდება საზღვაო უშიშროების დონე საქართველოს ნავსადგურებში.

„პორტების საერთაშორისო უსაფრთხოების პროგრამით“ გათვალისწინებულ 2021 წელს ჩატარებულ აუდიტში საქართველომ საუკეთესო შედეგი მიიღო - საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში უსაფრთხოებისა და უშიშროების საერთაშორისო ნორმები სათანადო დონეზე არის დაცული, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ნავსადგურებში დამუშავებული ტვირთი და გემები აშშ-ს მიერ უსაფრთხოდ არის ცნობილი.


მეზღვაურთა განათლება და სერტიფიცირება

მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების ერთიანი სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტი.

- ✓ მეზღვაურთა განათლების სისტემაზე ზედამხედველობის სამმართველო ახორციელებს საქართველოში არსებული საზღვაო-სასწავლო და საზღვაო-საწვრთნელი ცენტრების აღიარებას, შეიმუშავებს ამ დაწესებულებების შემოწმების გეგმას, უწევს მონიტორინგს საზღვაო სასწავლებლებში მიმდინარე საკვალიფიკაციო გამოცდებს და უზრუნველყოფს მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ საერთაშორისო მოთხოვნების შესრულების კონტროლს.
- ✓ მეზღვაურთა სერტიფიცირების სამმართველო უზრუნველყოფს მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სერტიფიკატების მომზადებას და გემზე პასუხისმგებლობის ყველა დონის მეზღვაურისთვის სერტიფიკატების გაცემას და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავებას, საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის გემის სამეთაურო და რიგითი შემადგენლობის პირის წოდების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მომზადებას, კანდიდატის ცოდნის შემოწმების მიზნით საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება-ორგანიზებას და სხვა.

მეზღვაურთა სერტიფიცირება

გრაფიკი 5: მეზღვაურთა სერტიფიცირების სამმართველოს მიერ 2021 წლის განმავლობაში გაცემული მოწმობების სტატისტიკა



2021 წელს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში კომპეტენციის სერტიფიკატის მისაღებად ტესტირებაზე რეგისტრაციების რაოდენობა შეადგენდა 2142-ს, აქედან წარმატებით დასრულდა 1804 მეზღვაურის შემთხვევაში. რაც შეეხება გასაუბრებას, გამსვლელთა საერთო რაოდენობა იყო 766, 80%-ის შემთხვევაში შედეგი იყო დადებითი.- მეზღვაურის შემთხვევაში შედეგი იყო დადებითი, ხოლო - ის - უარყოფითი.

საზღვაო-სასწავლო და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების მონიტორინგი

2021 წელს, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებულ საზღვაო-სასწავლო და საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებებზე გაიცა 126 კურსის აღიარება. განმავლობაში ზემოთხსენებულ სასწავლებლებში შემოწმებულ იქნა 3649 საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი კურსი, მსმენელების საერთო რაოდენობა კი შეადგენდა 33,321 (გარდა პერსონალის გადამზადებისა და მეთევზე-მეზღვაურის კურსებისა).

საანგარიშო პერიოდში, აუდიტები ჩატარდა სამ ახალ საწვრთნელ დაწესებულებაში - „მედიქლაბ ჯორჯია“, „მერიდიანი“ და „ქულშიფ ჯორჯია“, და გაიცა აღიარების სერტიფიკატები. ჯამში, სააგენტოს აღიარებული აქვს 8 საწვრთნელი დაწესებულება.

ყოველწლიური გეგმიური აუდიტები ჩატარდა შემდეგ დაწესებულებებში:

- ✓ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და მასთან არსებულ საწვრთნელ ცენტრში;
- ✓ ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტსა და მასთან არსებულ საწვრთნელ ცენტრში;
- ✓ შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრისა და მასთან არსებულ საწვრთნელ ცენტრში;
- ✓ შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი „ეკვატორი“
- ✓ ფოთის საზღვაო საწვრთნელი ცენტრი;
- ✓ შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი“
- ✓ შპს „მედიკლაბჯორჯია“;
- ✓ სს მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი 2010“
- ✓ სს „საზღვაო ჰოსპიტალი“
- ✓ შპს „საგიტარიუსი“

მეზღვაურთა განათლების სისტემის დახვეწა

მეზღვაურთა განათლების სისტემაზე ზედამხედველობის სამმართველოს მიერ, სრულად იქნა განახლებული საწვრთნელი ცენტრების სასწავლო და საგამოცდო თემატიკა.

აქტიურად მიმდინარეობს სააგენტოში მეზღვაურთა გასაუბრების სისტემის დახვეწა, შექმნილია ექსპერტთა კორპუსი და მიმდინარეობს სპეციალიზირებული კითხვარების დამუშავება.

საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა რიგით მე-5 აკადემიური საკონსულტაციო საბჭო, შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საზღვაო სასწავლებლების, მსხვილი დამსაქმებელი კომპანიების წარმოდგენლებმა. შეხვედრის მონაწილეებმა საზღვაო განათლებისა და წვრთნების, ეკიპაჟის შეცვლის, ქართველი მეზღვაურების, მათ შორის კადეტების დასაქმების აქტუალურ საკითხებზე იმსჯელეს.

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) შეფასებით, საქართველო სრულად აკმაყოფილებს მეზღვაურთა წვრთნის, სერტიფიცირების და ვახტის გაწევის შესახებ (STCW) კონვენციის მოთხოვნებს.

მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების სისტემის 2021 წლის თვითშეფასების აუდიტის შედეგად, საქართველომ შეინარჩუნა თავისი პოზიცია IMO-ს „თეთრ სიაში“. აღსანიშნია, რომ IMO-ს „თეთრ სიაში“ 2019 წელს ორგანიზაციის წევრი 165 ქვეყნიდან, მხოლოდ 53 სახელწმიფო მოხვდა.

მეზღვაურის პროფესიის პოპულარიზაცია

ტრადიციულად, 2021 წელსაც, IMO AMBASSADOR-თან ერთად, ჩატარდა მეზღვაურის პროფესიის საპრომოციო საჯარო ლექციები დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის;

სააგენტოს წარდგინებით ქართველი სტუდენტები ჩაირიცხნენ მსოფლიო საზღვაო უნივერსიტეტსა და საერთაშორისო საზღვაო სამართლის ინსტიტუტში;

მეზღვაურთა დასაქმების ხელშეწყობა

ქართველი მეზღვაურების დასაქმების ხელშეწყობა სააგენტოს ერთერთი უმთავრესი ამოცანაა. 2021 წელს ქართველი მეზღვაურების კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატები აღიარა საუდის არაბეთმა და არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა. ჯამში ქართველი მეზღვაურებისთვის ხელმისაწვდომია 62 საზღვაო სახელმწიფოს დასაქმების ბაზარი, მათგან 22 ევროკავშირის წევრია. 2020-2021 (15 თვე) წლებში საქართველოს საზღვარი ნაოსნობაში გამგზავრების მიზნით 8,636 მეზღვაურმა გადაკვეთა. საშუალოდ, მეზღვაურების წლიური კონტრიბუცია უცხოური ვალუტის სახით ქვეყნის ეკონომიკაში 300მლნ \$-ია.

მნიშვნელოვნად გაზრდილია მსხვილი გემთმფლობელი კომპანიების ინტერესი ქართველი მეზღვაურების მიმართ: - 2021 წელს სამხრევი მემორანდუმი გაფორმდა სინგაპურის ხუთეულში შემავალი გემთმფლობელი კომპანიასთან - Eastern Pacific Shipping Pte. Ltd (EPS ფლობს და მართავს 123 გემს, მათ შორის კონტეინერმზიდების, მშრალტვირთმზიდებისა და ტანკერებისგან შემდგარ თანამედროვე ფლოტს და დასაქმებული ყავს 5000-ზე მეტი ადამიანი), რომლის თანახმადაც, კომპანიის წარმომადგენლები ყოველწლიურად შეარჩევენ სტუდენტებს ექსთვიანი საზღვაო პრაქტიკის გასავლელად.

2019 წელს, საზღვაო ტრასნპორტის სააგენტომ, იმისათვის რომ, მეზღვაურებს შეძლებოდათ შუამავალი კომპანიების გარეშე დასაქმება, ექსპლუატაციაში ჩაუშვა ონლაინ პლატფორმა

www.georgianseafarers.ge , სადაც რეგისტრირდებიან მეზღვაურები და დამსაქმებლები და უშუალოდ, პირდაპირ კომუნიკაციაზე არიან ერთმანეთთან. ყოველწლიურად ხორციელდება პორტალის ტექნიკური და ფუნქციური მოდერნიზაცია, მიმდინარე წელს პორტალზე ჩაშენებულ იქნა სააგენტოს ონლაინ სერვისები. დღეის მდგომარეობთ, პორტალზე რეგისტრირებულია 5,967 მომხმარებელი, 22 დამსაქმებელი კომპანია და განთავსებულია 82 ვაკანტური პოზიციის თაობაზე ინფორმაცია.

ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი

2019 წელს, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენელს შორის გაფორმდა მემორანდუმი ფოთის საზღვაო სასწავლო ცენტრის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომლის ხარჯებმა 5, 876,164 ლარი შეადგინა.

სასწავლებელი ემსახურება ქვეყნის ლოგისტიკურ ინტერესებს, უზრუნველყოფს მეთევზე-მეზღვაურთა და გემის რიგითი და დამხმარე შემადგენლობის მაღაკვალიფიციურ წვრთნებს. ხელმისაწვდომია საზღვაო და მომიჯნავე პროფესიები. სასწავლებელი გათვლილია 1000 სტუდენტზე და დასაქმდება 250 პროფესორ-მასწავლებელი და ადმინისტრაციული პერსონალი.

სასწავლებელში 12 ლაბორატორია აღიჭურვა შესაბამისი სიმულატორებით, და 3 კომპიუტერული კლასი, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ საერთაშორისო სტანდარტებს.

- ✓ მეთევზე-მეზღვაურთა ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე თევზსაჭერი გემის სიმულატორით, რომელიც ყველა კომპეტენციის შესაბამის პრაქტიკული სამუშაოების შესრულების შესაძლებლობას იძლევა. სიმულატორის შექმნა მეთევზე-ლიცენზიატებმა დააფინანსეს;
- ✓ APM ტერმინალის მხარდაჭერით, სასწავლებელს გააჩნია ამწის სიმულატორი, რომლის ანალოგი დღესდღეობით საქართველოში არ არსებობს. ცენტრი ამზადებს კვალიფიციურამწის ოპერატორებს, რაც ერთერთი მოთოვნადი სპეციალობაა ნავსადგურებში;
- ✓ ტრენინგ ცენტრის ლოჯისტიკის ლაბორატორია მოეწყო GIZ დაფინანსებით.
- ✓ აშშ-ს საელჩოს დაფინანსებით მოეწყო ინგლისური ენის შემსწავლელი თანამედროვე სასწავლო კაბინეტი.

ჯამში ფოთის ფილიალის აღჭურვაში მონაწილეობა მიიღო 17-მა დონორმა.

2021 წლის დეკემბრის მონაცემებით, სასწავლებელში დასაქმებული იყო 22 ადამიანი. 10 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა ავტორიზაცია. საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული იყო 214 სტუდენტი, რაც შეეხება საწვრთნელ კურსებს, მსმენელების რაოდენობა შეადგენდა 119-ს.

ზღვაზე ძებნა-გადარჩენა და გემების მოძრაობის მონიტორინგი

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ზღვაზე ძებნა-გადარჩენისა და გემების მოძრაობის მონიტორინგის დეპარტამენტი ახორციელებს კონტროლს გემების ნაოსნობაზე საქართველოს პასუხისმგებლობის SAR (ძებნის და გადარჩენის) რაიონში, უწევს კოორდინაციას და ორგანიზებას ძებნა-გადარჩენის ოპერაციებს უბედურების შეტყობინების მიღების შემთხვევაში და ავარიულად დაღვრილი ნავთობის ლიკვიდაციას მის განკარგულებაში არსებული სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობით, საჭიროების შემთხვევაში კი გარეშე რესურსების მოზიდვით. ახორციელებს 24 საათიან მორიგეობას რადიო ეთერში GMDSS სისტემის A1 და A2 საზღვაო რაიონებში სპეციალური რადიოკავშირის საშუალებებით. ატარებს და მონაწილეობს ღებულობს ადგილობრივ და საერთაშორისო ძებნა-გადარჩენის ოპერაციების და ავარიულად დაღვრილი ნავთობის ლიკვიდაციის წვრთნებში; უწევს გემებს 24 საათიან საინფორმაციო მომსახურებას - მნიშვნელოვანი სანავიგაციო ინფორმაციით გემების დროულ უზრუნველყოფას; სანავიგაციო დახმარებას - გემებზე გადაწყვეტილების მიღების დასახმარებლად და ეფექტური მონიტორინგისათვის, განსაკუთრებით რთულ სანავიგაციო და მეტეოროლოგიურ პირობებში ან სხვა საგანგებო შემთხვევებში; ასრულებს გემების მოძრაობის ორგანიზებას - საშიში სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით გემების შემდგომი გადაადგილების დაგეგმვას, რაც ითვალისწინებს გემების მოძრაობაზე დაკვირვებას. მეკავშირე ოფიცერი უზრუნველყოფს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარმომადგენლობას ერთობლივი ოპერაციების მართვის ცენტრში (სუფსა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამუშაო დღის განმავლობაში.

2021 წელს დაფიქსირებული მონაცემები:

1. პასუხისმგებლობის SAR რაიონში კონტროლზე აყვანილი გემები (შემომსვლელი, გამსვლელი და ტრანზიტული) -----3,239.
2. საზღვაო ინციდენტები პასუხისმგებლობის SAR რაიონში -----77.
3. საზღვაო ინციდენტები პასუხისმგებლობის SAR რაიონის გარეთ -----3 .
4. პასუხისმგებლობის SAR რაიონში და ნავსადგურებში DSC, INMARSAT და COSPAS-SARSAT სისტემებით მცდარი განგაშის სიგნალის აქტივაცია ----- 14.
5. პასუხისმგებლობის SAR რაიონის გარეთ DSC, INMARSAT და COSPAS-SARSAT სისტემებით მცდარი განგაშის სიგნალის აქტივაცია ----- 7.
6. გემის უსაფრთხოების განგაშის სისტემის (SSAS) ტესტური შესტყობინება - 0.

7. აფხაზეთის დახურულ საზღვაო სივრცეში გემების არასანქცირებული ნაოსნობის სტატისტიკა -5.
8. CleanSeaNet სისტემიდან მიღებული ნავთობის დაღვრის განგაშის შეტყობინებების სტატისტიკა --- 10.
9. საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და ნავსადგურების აკვატორიებში გემების მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის ცენტრის მიერ ჩატარებული ოპერაციების რაოდენობა ----- 3,644.
10. გემების მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის ქვეცენტრების მიერ ჩატარებული ოპერაციების სტატისტიკა

ქვეცენტრი	ზონაში შესვლა	ზონიდან გასვლა	რეიდიდან ნავმისადგომთან	ნავმისადგომიდან რეიდზე	სულ:
ბათუმი	659	266	264	46	1,235
ფოთი	807	799	399	32	2,037
ყულევი	186	319	182	17	704

საანგარიშო პერიოდში ზღვაზე ძებნა-გადარჩენისა და გემების მოძრაობის მონიტორინგის დეპარტამენტი:

- ✓ პერიოდულად ატარებდა ძებნა-გადარჩენის საკომუნიკაციო წვრთნებს სამგზავრო გემებთან;
- ✓ ყოველკვარტალურად ატარებდა ნავთობის ავარიულ დაღვრაზე რეაგირებისთვის მზადყოფნის წვრთნებს განგაშის გამოცხადებისას ბათუმის ნავსადგურში;
- ✓ დეპარტამენტის წარმომადგენლები მუდმივად მონაწილეობდნენ საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში;
- ✓ ჩატარდა „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე დაცული ტერიტორიების სააგენტოდან მიღებული კანონპროექტის განხილვა, ყულევის ნავსადგურის კაპიტანთან შეთანხმებით, განხორციელდა რაიონის კორექტირება, ჰიდროგრაფიის სამსახურთან შეთანხმებით მოხდა კოორდინატების კონვერტირება WGS 84 სტანდარტში და თანმიმდევრობის გასწორება.

ზღვაზე ძებნა-გადარჩენის ოპერაციების ეფექტურად მართვა

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს ზღვაზე ძებნა-გადარჩენის ოპერაციების წარმართვა და გემების მოძრაობის მონიტორინგი.

2018 წელს, სააგენტომ მილიონ ლარზე მეტის ინვესტიცია განახორციელა საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრის სრულ ტექნიკურ გადაიარაღებაში. 2018 წელს, ჩვენ გავხდით ევროკავშირის პირველი არაწევრი ქვეყანა, რომელიც მიუერთდა ევროკავშირის გემების შორს მანძილზე იდენტიფიცირებისა და მონიტორინგის სისტემას (LRIT).

2019 წელს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო გახდა „საერთაშორისო საზღვაო სამაშველო ფედერაციის“ წევრი, ასევე 2019 წელს, პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, გემების ეროვნული ავტომატური საიდენტიფიკაციო სისტემის (AIS) სანაპირო სადგურების ქსელი შეიქმნა. ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს საგრანტო კონკურსში გამარჯვების შედეგად უსასყიდლოდ გადმოგვეცა ორი საბაზო (სახმელეთო) ავტომატური საინდეტიფიკაციო სისტემის სადგური.

2020 წელს, განხორციელდა საერთაშორისო საზღვაო სამაშველო ფედერაციის მიერ საქართველოსთვის უსასყიდლოდ გადმოცემული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი ძებნა-გადარჩენის კატარლის ტრანსპორტირება ბათუმში.

2021 წელს, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სრულად გადაიარაღდა ძებნა-გადარჩენის კატარლა.

გემების რეგისტრაცია და დროშის კონტროლი

გემების რეგისტრაციასა და დროშის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ფუნქციებია:

- ✓ დროშის სახელმწიფო კონტროლი, მათ შორის საქართველოს დროშით მცურავი გემების ინსპექტირება;
- ✓ საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოება;
- ✓ გემის რეგისტრაციის პირობების, აგრეთვე გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და საზღვაო იპოთეკის აღრიცხვის წესების დადგენა;
- ✓ გემის რეგისტრაციის მოწმობის, ეკიპაჟის უსაფრთხო დაკომპლექტების და რადიოსადგურის მოწმობის გაცემა;
- ✓ საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი გემებისათვის მინიჭებული სახმობი და ამოსაცნობი ნიშნის მონიტორინგი.

მცურავი საშუალებების რეგისტრაცია

საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრი 1999 წლიდან ითვლება ღია რეესტრად, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მასში რეგისტრირდება გემი, რომელიც არის უცხო ქვეყნის ფიზიკური/იურიდიულ პირის საკუთრება. გემთმფლობელები მცირე დანახარჯების შედეგად იღებენ დაბალ საშემოსავლო და სარეგისტრაციო მოსაკრებლებს ან სრულად არიან გათავისუფლებული გადასახადებისაგან. გემის რეგისტრაციის პროცედურა ხორციელდება მარტივი სქემით და მაქსიმალურად მოკლე ვადებში, რადგან დროის ფაქტორი ნებისმიერი სახის დოკუმენტის მიღებისათვის გემთმფლობელისთვის ან გემის ოპერატორისთვის დაკავშირებულია ფინანსურ დანახარჯებთან.

გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოება რეგულირდება 2012 წლის 17 სექტემბრის N020 ბრძანებით - "გემის სახელმწიფო რეგისტრაციისა და საზღვაო იპოთეკის აღრიცხვის წესების დამტკიცების შესახებ".

რეესტრი შედგება 4 ტიპის წიგნისაგან, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება რეგისტრაციის ტიპის მიხედვით:

- ✓ შიდა ნაოსნობის წიგნი - რეგისტრირდება გემები, რომლებიც ნაოსნობენ საქართველოს ტერიტორიული წყლებში (ნაპირიდან 12 საზღვაო მილის ფარგლებში).


- ✓ საერთაშორისო ნაოსნობის წიგნი - რეგისტრირდება გემები, რომლებიც განახორციელებენ ნაოსნობას ასევე საქართველოს ტერიტორიული წყლის ფარგლებს გარეთ.
- ✓ ბერბოუტ-ჩარტერის წიგნი - რეგისტრირდება ბერბოუტ-ჩარტერის ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული გემი.
- ✓ მშენებარე გემების წიგნი - რეგისტრირდება მშენებარე გემები.

2017 წლიდან სააგენტოსა და სერვისების განვითარების სააგენტოს თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა გემების სახელმწიფო ელექტრონული რეესტრი - მონაცემთა დამუშავებს, მართვისა და შენახვის ცენტრალიზებული სისტემა.


დღეის მდგომარეობით, საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულია 1622 მცურავი ერთეული (შიდა ნაოსნობა - 100 რეგ.ტონაზე ნაკლები - 1525, 100 რეგ.ტონაზე მეტი - 67, საერთაშორისო ნაოსნობა 30 მცურავი ერთეული), რომელთა საშუალო ასაკი 26 წელია.

რაც შეეხება საანგარიშო პერიოდს, საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული მცურავი საშუალებების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე:


გრაფიკი 6: 2021 წელს 100 რეგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეგისტრაცია (სულ 113)




გრაფიკი 7: 100 რგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეესტრი (სულ 1,525)




გრაფიკი 8: 2021 წელს 100 რგ. ტონაზე მეტი შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეგისტრაცია (სულ 33)




გრაფიკი 9: 100 რგ. ტონაზე მეტი შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეესტრი (სულ 67)




გრაფიკი 10: საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალებების რეგისტრაცია (სულ 5)




გრაფიკი 11: საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალებების რეესტრი (სულ 30)




გრაფიკი 12: 100 რეგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეგისტრაცია (2020-2021 წლები)




გრაფიკი 13: 100 რგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეესტრი (2021-2020 წლები)




გრაფიკი 14: 100 რგ. ტონაზე მეტი შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეესტრაცია (2021-2020 წლები)




გრაფიკი 15: 100 რეგ. ტონაზე მეტი შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეესტრი (2021-2020 წლები)



გრაფიკი 16: საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალებების რეგისტრაცია (2021-2020 წლები)





2021 წელს საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირდა 53 მცურავი საშუალება - 5 საერთაშორისო ნაოსნობაში, ხოლო 48 ერთეული შიდა ნაოსნობაში. რეგისტრირებული გემების ტონაჟმა შეადგინა 40,733 რეგისტრული ტონა.

გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის პროცესისა და საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

- ✓ დაიხვეწა დროშის კონტროლისა და გემების რეგისტრაციის პროცესის საკანონმდებლო ბაზა (ცვლილებები შევიდა საზღვაო შრომის კოდექსში, გამოიცა ახალი ტექნიკური რეგლამენტი „საქართველოს დროშის ქვეშ მცურავ გემებზე ეკიპაჟის უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების შესახებ“);
- ✓ შიდა ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და საერთაშორისო სტანდარტებთან დასაბლოებად დადგენილ იქნა რიგი მოთხოვნები (შიდა ნაოსნობის, მათ შორის ზომამცირე გემებზე სახანძრო და სიცოცხლის უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნები, შიდა ნაოსნობის, მათ შორის ზომამცირე გემებზე სასწავლო წვრთნების მინიმალური მოთხოვნები, შიდა ნაოსნობის, მათ შორის ზომამცირე გემებზე სამაშველო აღჭურვილობების მინიმალური მოთხოვნები, შიდა ნაოსნობის, მათ შორის ზომამცირე გემებზე საზღვაო პუბლიკაციების მინიმალური მოთხოვნები);

- ✓ გაუმჯობესდა და დაიხვეწა გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის სერვისები (ელექტრონული სერტიფიკატების დანერგვა, სმს და ელ ფოსტის სისტემის დანერგვა, დაინერგა ელექტრონული განაცხადები).

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული მცურავი საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის გამართულობის შესამოწმებლად, დროშის ინსპექტორების მიერ ჩატარებულ იქნა 85 ინსპექტირება, მათ შორის უცხო ქვეყანაში 26-ჯერ.

გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის მიმართ 2021 წელს გამოცემული ცირკულარები:

Circular N3/FSI *Intact Stability, Damage Stability and Strength of Vessels*

ცირკულარი განმარტავს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) მიერ შემუშავებულ მოთხოვნებსა და რეკომენდაციებს მცურავი საშუალებების სტაბილურობისა და სიმტკიცის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2021 წლის 1 იანვარს.

Circular N4/FSI *Maritime Cyber Risk Management*

ცირკულარი ეხება საზღვაო კიბერ-უსაფრთხოებას და იძლევა რეკომენდაციებს თუ როგორ უნდა მოხდეს საზღვაო კიბერ-რისკების მართვა.

Circular N5/FSI *“Technical Standards and Safety Rules for Yachts” (YACHT CODE)*

ცირკულარი განმარტავს იახტების ტექნიკურ სტანდარტებსა და უსაფრთხოების წესებს. ამ ცირკულარის მიზანია იახტების სამშენებლო სტანდარტების, სტაბილურობის, უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა, რათა მინიმუმამდე შემცირდეს რისკები იახტებისთვის, ბორტზე მყოფი პერსონალისთვისა და გარემოსთვის.

Circular N6/FSI *Operating Requirements in the event of Loss of Anchor*

ცირკულარის მიზანია მიაწოდოს ინფორმაცია გემთმფლობელებს, მენეჯერებს, წარმომადგენლებს, ოპერატორებს, აღიარებულ ორგანიზაციებს, აგენტებსა და ინსპექტორებს, თუ რა საოპერაციო წესები და პროცედურები უნდა გატარდეს ლუზის დაკარგვის შემთხვევაში.

Circular N7/FSI ჰიდრაულიკური გამოცდების სერვის პროვაიდერები საქართველოში

აღნიშნული ცირკულარის მიზანია, დოკუმენტაციამ და ყველა დაინტერესებულმა მხარემ მიიღოს ინფორმაცია საქართველოში არსებულ იმ ორგანიზაციებთან დაკავშირებით, რომლებიც ავტორიზირებულნი არიან სააგენტოსა და აღიარებული ორგანიზაციების მიერ და შეუძლიათ დოკუმენტში განახორციელონ შესაბამისი ჰიდრაულიკური გამოცდების ჩატარება.

Circular N8/FSI *Magnetic Compasses Adjustment*

ცირკულარულის მიზანია შეახსენოს ყველა დაინტერესებულ მხარეს თუ რა როლს თამაშობს მაგნიტური კომპასი სანავიგაციო უსაფრთხოებაში. ცირკულარი ასევე განმარტავს მაგნიტური კომპასების მოხმარების, მონიტორინგისა და შეკეთების წესებს.

Circular N9/FSI *Principles of Watchkeeping*

ცირკულარის მიზანია აცნობოს ყველა დაინტერესებულ მხარეს სანავიგაციო ხიდურაზე მორიგეობის პრინციპები და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას ხიდურაზე.

Circular N10/FSI *Dispensation permit to seafarers employed on ships flying the Georgian flag*

ცირკულარმა ჩაანაცვლა 2012 წლის 9 მარტის ცირკულარი (Circular № 001/ FSI 001). ცირკულარის მიზანია აცნობოს ყველა დაინტერესებულ მხარეს მეზრვაურთა განაწილების ნებართვის გაცემის მოთხოვნები და პროცედურები. კერძოდ, ცირკულარის მიხედვით, გამონაკლის შემთხვევებში, მეზღვაურებს ეძლევათ უფლება კონკრეტულ გემზე, წინასწარ განსაზღვრული ვადით, დაიკავონ იმაზე მაღალი თანამდებობა, ვიდრე ეს მათი კომპეტენციის სერტიფიკატითაა გათვალისწინებული

Circular N11/FSI *Pilot Transfer Arrangements*

აღნიშნული ცირკულარი განსაზღვრავს საპილოტე სტანდარტებს და მათ შესაბამისობას IMO-ს A.1045(27) რეზოლუციის მოთხოვნებთან.

Circular N12/FSI *გემის განმასხვავებელი ნიშნები და მათი გემზე დატანის წესი*

ცირკულარის მიზანია ყველა დაინტერესებულ მხარეს გააცნოს დეტალური ინფორმაცია მცურავ საშუალებებზე განმასხვავებელი ნიშნებისა და მათი გემზე დატანის წესებისა და ინსტრუქციების შესახებ.

Circular N13/FSI გემის სახელმწიფო რეგისტრაციისა და საზღვაო იპოთეკის აღრიცხვის წესების დამტკიცების შესახებ დაკავშირებული მოთხოვნები

ცირკულარი განმარტავს გემის სახელმწიფო რეგისტრაციისა და საზღვაო იპოთეკის აღრიცხვის წესების დამტკიცებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს

Circular N15/FSI *Plans and Procedures to Recover Persons from the Water*

ცირკულარის მიზანია აცნობოს ყველა დაინტერესებულ მხარეს იმ გეგმისა და პროცედურების შესახებ, რომელთა ქონაც აუცილებელია იმისთვის, რომ მოხდეს ზღვაში გასაჭირში მყოფი ადამიანების დროული დახმარება (სიცოცხლის გადარჩენა) იქნება ეს ეკიპაჟის წევრი თუ მგზავრი.

Circular N16/FSI *Entering Enclosed Spaces - Safety Precautions*

ცირკულარი ადგენს მოთხოვნებს და ამუშავებს უსაფრთხოების სტანდარტებს, რომლებიც უნდა დაიცვას პერსონალმა გემის დახურულ სივრცეებში, სადაც შეზღუდულია ჟანგბადი, და შეინიშნება მომწამვლელი ან აალებადი ნივთიერება.

საზღვაო სფეროს განვითარება საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით/ინოვაციური პროექტების განხორციელება

საზღვაო ერთი ფანჯრის პრინციპი

MSW (Maritime Single Window) – საზღვაო ერთი ფანჯრის პრინციპის კონცეფციის მიზანი არის ნავსადგურებში შემოსული ან/და ნავსადგურებიდან გასული გემების ფორმალობებთან დაკავშირებულ ანგარიშგების გამარტივება და გაციფროვნება. ზემოაღნიშნული კონცეფციის დანერგვის ვალდებულება საქართველოს აქვს ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე, ასევე FAL-ის კონვენციის შესაბამისად. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს ინიციატივით და საქართველოში აშშ საელჩოს ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის (EXBS) ხელშეწყობით, საქართველოს ნავსადგურებში განხორციელდა ერთი ფანჯრის (Single Window) კონცეფციის დანერგვის მიზანშეწონილობის კვლევა (USD 120 000). კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა საქართველოში MSW კონცეფციის დანერგვის მიზანშეწონილობა, კვლევა ასევე მოწონებულ იქნა მთავრობის მიერ, რის საფუძველზეც სააგენტო და EXBS -სი აგრძელებენ თანამშრომლობას კონცეფციის დანერგვის მიზნით. პროექტის მეორე ეტაპი, რომელიც გულისხმობდა software და hardware შეძენას, შესაძენად გრანტი გამოყოფილ იქნა აშშ-სგან, ამჟამად გამოცხადებულია ტენდერი პროექტის იმპლემენტაციისათვის.

ნავსადგურების გაერთიანების სისტემა (Port Community System)

საზღვაო ტრანსპორტის ჯაჭვის სრული დიჯიტალიზაციისთვის საჭიროა ერთი ფანჯრის პრინციპის დაკავშირება ნავსადგურის გაერთიანების სისტემასთან (Port Community System (PCS)).

PCS ეს არის კონცეფცია, რომელიც აკავშირებს სხვადასხვა სანავსადგურე სექტორებში არსებულ სისტემებს, როგორც ლოგისტიკური ცენტრების სისტემებთან ასევე საზღვაო ერთი ფანჯრის პრინციპთან. კონცეფცია გააუმჯობესებს სანავსადგურე და ლოგისტიკური პროცესების მართვას, მათ შორის გაამარტივებს და ერთიან სტანდარტში მოაქცევს ნავსადგურიდან გასვლისა და შემოსვლის ნებართვების პროცედურულ დოკუმენტაციას. ზემოაღნიშნულის განხორციელების მიზნით სააგენტომ აწარმოა მოლაპარაკებები საქართველოს საინვესტიციო საბჭოს მხარდაჭერით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან PCS-ის დანერგვის მიზანშეწონილობის კვლევის დაფინანსების მიზნით (Euro 270 000). გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში გამოვლენილ იქნა გამარჯვებული კომპანია, რომელმაც 2021 წლის აგვისტოს თვეში დაიწყო პროექტის მიზანშეწონილობის კვლევის ჩატარება და დასრულდება 2022 წლის მაისის თვეში.

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის კონცეფცია

2019 წელს საქართველომ საზღვაო ტრანსპორტის კონცეფციის დოკუმენტის შემუშავება დაიწყო;

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ევროკავშირის ექსპერტები, საქართველოს დაეხმარებიან ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად დირექტივების იმპლემენტაციასა და საზღვაო სტრატეგიის შემუშავებაში.

დოკუმენტზე მუშაობა დაწყებულია 2019 წლის მარტში, აღნიშნული დოკუმენტის შექმნისათვის ასევე რამოდენიმე დირექტივის დანერგვისათვის ევროკავშირის მიერ გამოყოფილ იქნა 200,000 ევრო.

ევროკავშირის ექსპერტებმა, საქართველოს საზღვაო სფეროს კერძო და საჯარო სექტორთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად, 2020 წელს დაასრულეს დოკუმენტზე მუშაობა. ამ ეტაპზე UNDP ექსპერტის მიერ, მიმდინარეობს, მომზადებული დოკუმენტის გადაწყობა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, რათა მოხდეს დოკუმენტის დამტკიცება საქართველოს მთავრობის მიერ.

დოკუმენტის ფარგლებში მუშავდება სამოქმედო გეგმა, რომელიც მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს საზღვაო ტრანსპორტის დარგის მწყობრ, მდგრად და ეფექტურ განვითარებას.

საზღვაო თევზჭერის ხელშეწყობა

2019 წლის დეკემბრიდან პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიერ მხარდაჭერილ ბიზნესებს შორის არის საზღვაო თევზჭერაც. პროგრამა ერთდროულად იძლევა 5 მლნ. ლარამდე საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმით (90 %-იანი უზრუნველყოფა) და საბანკო სესხის რეფინანსირების განაკვეთს პლიუს 3%-იანი თანადაფინანსებით, ლიზინგის შემთხვევაში კი რეფინანსირების განაკვეთს პლიუს 5% იანი თანადაფინანსების მექანიზმით სარგებლობის შესაძლებლობას, რაც ადგილობრივ მეთევზეებს თანამედროვე სტანდარტის თევზსაჭერი გემების შეძენაში დაეხმარება.

ახალი გემებით მეთევზეები წლიური თევზჭერის კვოტის მაქსიმალურ ათვისებას შეძლებენ.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში უკვე დაფინანსდა 14 თევზსაჭერი გემის მშენებლობა/შეძენა, ხოლო განხორციელებული ინვესტიციით 222 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა, რაც შეეხება ჯამურ ინვესტიციას 47, 586,472 ლარი შეადგინა.

საქართველოში ნავსადგურის ნარჩენების მდგრადი მართვის მიზანშეწონილობის კვლევა - “Feasibility Study for Sustainable Port Waste Management in Georgia”

2021 წელს, “SWEDFUND International AB” (შვედეთის სამეფოს განვითარების ფინანსური ინსტიტუტი -სა და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც SWEDFUND-ი გამოყოფს მაქსიმუმ 2 500 000 შვედურ კრონას საკონსულტაციო მომსახურების ხარჯებისათვის, რათა მოხდეს კვლევების ჩატარება ბათუმის, ფოთის, ყულევისა და სუფსის ნავსადგურებში, ნარჩენების მდგრადი მართვის სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით.

ქართულ-შვედური თანამშრომლობა მიზნად ისახავს ადგილობრივი, თუმცა ამავდროულად საერთაშორისო ხასიათის პრობლემების მოგვარებას და საზღვაო გადაზიდვებისა და ვაჭრობის მაჩვენებლების ზრდის შესაძლებლობის გაძლიერებას.

5 თვიანი პროექტის “Feasibility Study for Sustainable Port Waste Management in Georgia” განსახორციელებლად გერმანული საკონსულტაციო კომპანია HPM Hamburg Port Consulting GmbH ტენდერის მეშვეობით შეირჩა. საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. სამუშაო ჯგუფი შეაფასებს საკონსულტაციო კომპანიის ყოველთვიურ და საბოლოო ანგარიშებს და საჭიროების შემთხვევაში გასცემს რეკომენდაციებს. პროექტი დაიწყო 2021 წლის 15 ნოემბერს.

ახალი საბორნე ტერმინალი

საბორნე მიმოსვლის პოტენციალის სრული ათვისების მიზნით ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების ინფრასტრუქტურის შესწავლის შემდგომ, გამოიკვეთა ახალი საბორნე ტერმინალის მშენებლობის აუცილებლობა, რომელიც დაკავშირებული იქნება როგორც სარკინიგზო, ასევე სახმელეთო მაგისტრალთან, ხოლო საბორნე ტერმინალთან არსებული წყლის სიღრმე შესაძლებელს გახდის საბორნე მიმოსვლის განთავისუფლებას სალოცმანო თუ ბუქსირის მომსახურებისგან. ბათუმისა და ფოთის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე ვერ ხორციელდება შესაბამისი საბორნე ტერმინალის მოწყობა და შესაბამისად, მოძიებულ იქნა 3 მიწის ნაკვეთი, სადაც არსებობს საბორნე ტერმინალის განვითარების შესაძლებლობა. 2022 წელს დაგეგმილია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროების კვლევის ჩატარება, რომლის ბიუჯეტი დაახლოებით 850 000 USD შეადგენს, ხოლო პროექტის ხანგრძლივობა 9 თვეა.

საკანონმდებლო საქმიანობა

„ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“ - ასოცირების შეთანხმების საფუძველზე საქართველომ ტრანსპორტის სფეროში აღებული ვალდებულებების 90%-ზე მეტი უკვე შეასრულა. დასაწერი 22 დირექტივიდან დაწერილია 18 დირექტივა, ხოლო 2022 წლის ბოლომდე უნდა დაინერგოს კიდევ ერთი დირექტივა.

საზღვაო შრომის ბაზრის რეფორმა - საზღვაო შრომის კონვენცია - Maritime Labour Convention 2006, კონვენციის სარატიფიკაციო პაკეტი ინიცირებულია, წინამდებარე კონვენციის რატიფიცირებით, საქართველო კისრულობს ვალდებულებას, რომ სრულად მოიყვანს სისრულეში საქართველოს კანონმდებლობას კონვენციის VI მუხლში გათვალისწინებული სახით, რათა უზრუნველყოს ყველა მეზღვაურის უფლება დირსეულ სამუშაოსთან დაკავშირებით. კონვენციის რატიფიცირებით საქართველო იღებს ვალდებულებას მიიღოს საქართველოს კანონი, რომლის მიხედვიდაც, ყოველ მეზღვაურს უფლება აქვს ჰქონდეს უსაფრთხო და საიმედო სამუშაო ადგილი, რომელიც აკმაყოფილებს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მიღებულ სტანდარტებს, ისარგებლოს სამართლიანი სამუშაო პირობებით, შრომისა და ცხოვრების დირსეული პირობებით გემის ბორტზე, ჯანმრთელობის დაცვით, სამედიცინო მომსახურებით, სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებითა და სოციალური დაცვის სხვა ფორმებით.

საქართველოს კანონი/ნორმატიული აქტების შემუშავება/დახვეწა

საანგარიშო პერიოდში მომზადდა:

- ✓ "გემის სახელმწიფო რეგისტრაციისა და საზღვაო იპოთეკის აღრიცხვის წესების დამტკიცების შესახებ" ბრძანების ცვლილების პროექტი;
- ✓ 2021 წლის 4 თებერვალს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა სააგენტოს დირექტორის N02 ბრძანება მეზღვაურის საიდენტიფიკაციო ბარათისა და მეზღვაურის ნაოსნობის წიგნაკის ფორმის, მისი დამზადების, გაცემისა და გამოყენების წესის“ დამტკიცების შესახებ. ასევე, განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები საფასურის წესში;
- ✓ დროშის კონტროლის ინსპექტორის და შემმოწმებლის აღიარების წესის“ დამტკიცების შესახებ ბრძანების ცვლილების პროექტი;

- ✓ „შიდა ნაოსნობაში ჩართული 100 საერთო ტევადობაზე ნაკლები მცურავი საშუალებების მოწმობის ფორმების, დიზაინის, აღწერილობის დამცავი ნიშნების, მათი გაცემის და გამოყენების წესის“ დამტკიცების შესახებ ბრძანების ცვლილების პროექტი;
- ✓ სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 6 აპრილის №05 „ახალი კორონავირუსი COVID-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით საქართველოს მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების სფეროში განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ ბრძანების ცვლილების პროექტი;
- ✓ „მეზღვაურთა სერტიფიკატების ფორმების, მათი გაცემისა და გამოყენების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 23 იანვრის №002 ბრძანების ცვლილების პროექტი;
- ✓ „დროშის კონტროლის ინსპექტორის და გემის შემმოწმებლის აღიარების წესის“ დამტკიცების შესახებ ბრძანების ცვლილების პროექტი;
- ✓ „საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების აღიარებისა და საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგის წესის“ დამტკიცების შესახებ №05 ბრძანების ცვლილების პროექტი;
- ✓ „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისა და მეზღვაურის სამედიცინო მოწმობის გაცემაზე უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებისა და უფლებამოსილი ექიმის შერჩევის და პერიოდული მონიტორინგის წესისა და პირობების“ დამტკიცების შესახებ 2014 წლის 25 დეკემბრის №06 ბრძანების ცვლილების პროექტი;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 13 თებერვლის N78 „საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის რეჟიმისა და ნაოსნობის წესების დადგენის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ დადგენილების ცვლილების პროექტი;
- ✓ საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა სააგენტოს დირექტორის N11 ბრძანება ნაყარი ტვირთის გადამზიდავ გემებზე ტვირთის უსაფრთხო ჩატვირთვასა და გადმოტვირთვასთან დაკავშირებული წესებისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ;
- ✓ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 15 აპრილის №1-1/592 ბრძანების ცვლილების პროექტი;
- ✓ საქართველოს საზღვაო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის ცვლილების პროექტი;
- ✓ „კომპეტენციის, კვალიფიკაციის და სხვა სერტიფიკატის მიღებისა და მისი განახლებისათვის საჭირო გამოცდების ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – საზღვაო

ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 1 ნოემბრის №026 ბრძანების ცვლილების პროექტი;

- ✓ „საქართველოს ტერიტორიულ ზღვასა და ნავსადგურის აკვატორიაში გემების მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 30 მარტის №05 ბრძანების ცვლილების პროექტი.

ადმინისტრაციული უზრუნველყოფა

- ✓ 2021 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით, სააგენტოში დასაქმებული იყო 134 ადამიანი, რაც შეეხება მაჩვენებლებს გენდერულ მაჩვენებლებს - სააგენტოში დასაქმებულია მდედრობითი სქესის - 44, და მამრობითი სქესის - 90 ადამიანი (მამაკაცი თანამშრომლების სიმრავლე ამ შემთხვევაში განპირობებულია სააგენტოს საქმიანობის სპეციფიკით, იგულისხმება ზღვაზე ძებნა გადარჩენისა და გემების მოძრაობის მონიტორინგის დეპარტამენტის და ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურის თანამშრომლები);
- ✓ 2021 წელს სპეციალური სწავლებები/ტრენინგები გაიარა სააგენტოს 79 თანამშრომელმა;
- ✓ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია. საანგარიშო პერიოდში, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ, გასცა 18 წერილი, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პასუხად;
- ✓ საქართველოს შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონისა და დადგენილება 381 შესაბამისად, 2021 წელს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ განხორციელდა მომსახურების შესყიდვა სააგენტოს თანამშრომლების დაზღვევასთან დაკავშირებით;
- ✓ 2021 წელს, კონკურსის წესით, სააგენტოში შეივსო 11 ვაკანტური პოზიცია.

ISO 9001:2015/ISO 27001/შრომის უსაფრთხოება

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ ჯერ კიდევ 2012 წელს დანერგა ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2008.

2018 წელს სტანდარტის განახლებული ვერსიის მისაღებად, შეუსაბამობების გარეშე გაიარა სასერტიფიკაციო ორგანიზაციის აუდიტი და შეინარჩუნა ხარისხის მართვის სერტიფიკატი განახლებული ვერსიის - **ISO 9001:2015** დანერგვით. აღნიშნული სერტიფიკატი გაიცემა სამი წლის ვადით.

საანგარიშო პერიოდში, სააგენტოს ხარისხის უზრუნველყოფისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის კოორდინაციით, სააგენტომ ასევე წარმატებით გაიარა გერმანული სასერტიფიკაციო ორგანიზაციის TÜV SÜD- ის სარესერტიფიკაციო აუდიტი და შეინარჩუნა ხარისხის მართვის სერტიფიკატი.

სააგენტოში მუდმივად მიმდინარეობს კონტროლი ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

სააგენტოში დანერგილი ხარისხის მართვის სისტემა შეესაბამება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კონვენციების მოთხოვნებს და ევროკავშირის სავალდებულო დირექტივებს, რაც განაპირობებს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებების მაღალ დონეს.


სააგენტოში დანერგილია ასევე ინფორმაციული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტი ISO 27001. 2021 წელს, აღნიშნული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, მიმდინარეობდა მუშობა სხვადასხვა ტიპის დოკუმენტებზე:

- ✓ მომზადდა და დამტკიცდა ინფორმაციული უსაფრთხოების გავრცელების სფეროსა და პოლიტიკის დოკუმენტი;
- ✓ მომზადდა ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული აქტივების რეესტრი და გაიწერა მართვის წესი;
- ✓ გაიწერა ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, ასევე რისკების შემცირების გეგმა;


შრომის უსაფრთხოების კანონის მოთხოვნების შესაბამისად, სააგენტოში შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, იდენტიფიცირებულია მასთან დაკავშირებული რისკები, შერჩეულია საპრევენციო მექანიზმები და კრიზისული მართვის გეგმა.

ზოგადი სტატისტიკა


გრაფიკი 18: ბათუმის, ფოთის, ყულევისა და სუფსის ნავსადგურებში გადამუშავებული ტვირთების რაოდენობა



გრაფიკი 19: ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებში გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობა



გრაფიკი 20: ბათუმის, ფოთის, ყულევისა და სუფსის ნავსადგურებში შემოსული ძირითადი გემის ტიპები



გრაფიკი 21: საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემების გროს ტონაჟი

